№ 216 ოქტომბერი 17, შაბათი 1887 ოქტომბერი 17, შაბათი № 216

ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

1877—1887 წელიწადი

გაზეთი ღირს

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

ევდუქსია იოთამის ასული, მარიამ ალექსის ასული და აზნაური სოლომონ ანდრიას ძე კვალიაშვილები გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა გარდაცვალებასა პირველი ქმრისასა, მეორე მამისასა და უკანასკნელი ძმისა თვისისა ალექსი ანდრიას ძე კვალიაშვილისასა, სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ კვირას, 18-ს ოქტომბრისას განსასვენებლად მიცვალებულისა სობოროს ქუჩიდამ გორის სამების ეკკლესიაში.

ტფილისი, 16 ოქტომბერი

ჩვენ მრავალჯერ აღგვინიშნავს ჩვენებური გულ-გრილობა, უზრუნველობა ისეთ საქმისადმი, რომელიც მოითხოვს მომეტებულს მეცადინეობას და გარჯასა. ჩვენი აზრი კიდევაც დაგვისაბუთებია ჩვენის ცხოვრებიდგან ამოკრეფილ ამბებითა. ეხლაც საჭიროდ ვცანით იგივე აზრი განვიმეოროთ, რადგანაც ჩვენი ცხოვრება კიდევ გვაძლევს ისეთს მაგალითებს, რომლებსაც არ შეიძლება გვერდს ავუაროთ; მით უფრო არ შეგვიძლიან ყურადღება არ ვათხოვოთ აღნიშნულს გარემოებას, რომ იგი ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენის ცხოვრებისა, იმდენად ჩვეულებრივია, რომ არავის არ ეუცხოება, არ ეჩოთირება, თითქო უიმისოდ ჩვენი ცხოვრება და სიცოცხლე წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყოს. თუ მწერლობაში არ შეეხნენ იმ გარემოებას, დარწმუნებული იყავით, რომ იგი გარემოება ისევ შეუმჩნეველი და ყველასათვის შეუნიშნავი დარჩება.

აი, მიმოიარეთ ჩვენი დაბა-სოფლები-კი არა, არა—ჩვენი პროვინციალური ქალაქები, ქუთაისი, თელავი, სიღნაღი, და სხვანი,—ისეთი ქალაქები, სადაც ცოტა რამ სიცოცხლე მაინც უნდა არსებობდეს. ამ ქალაქებში სხვა-და-სხვა დაწესებულებათაც შეხვდებით, განათლებულს ნაწილს საზოგადოებისასაც, ახალგაზდობას, ესე იგი, ყოველსავე, რაიცა ფერს და მიმართულებას უნდა აძლევდეს ცხოვრებასა. მართლადაც, პირველის შეხედვით შესაძლოა მეთვალ-ყურე მოტყუვდეს, მაგრამ თუ იგი კარგად დაუკვირდება იმ ჩვენის პროვინციალურ ქალაქის მდგომარეობას, არ შეუძლიან არ შეჰნიშნოს სრული უფერულობა ცხოვრებისა, დაუდევრობა საზოგადოებისა. დაკვირვება გიჩვენებს, რომ ის ელემენტები, რომლებიც ცხოვრების ფერსა და მიმართულებას უნდა აძლევდნენ, იმოდენად უძლურნი და დახრწნილნი არიან, რომ სრულიად ვერ ასრულებენ თავიანთს დანიშნულებას და მოვალეობას. მაგალითად, ქუთაისიდგან გვწერდნენ, რომ ქალაქის თვით-მართველობა არჩევანმა ხელში ჩაუგდო ადგილობრივს ინტელიგენციას; თითქმის ნახევარს ხმოსანთა შეადგენს ახალგაზდობა, რომელზედაც ქალაქს თავდა-პირველად დიდი იმედი ჰქონდა. მაგრამ გავიდა დრო და ჟამი იმედი იმედად დარჩა და ქალაქის საქმე ისე წავიდა, თითქო თვით-მართველობაში არც ერთი განათლებული და შეგნებული წევრი არ იყოს. თელავიდამ იმას სჩივიან, რომ სკოლას, დეპოს, წიგნთ-საკითხავს ბოლო მოუღეს თელაველებმა თავისის გულ-გრილობითა და უზრუნველობითაო. იმდენი მხნეობა ვერ გამოუჩენიათ, რომ ერთს პატარა წიგნთ-საკითხავს, რომელშიაც რამდენიმე რუსული და ქართული ჟურნალ-გაზეთი უნდა ყოფილიყო, გაუძლვნენ; წევრებს წლიური გარდასახადი ვერ შეუტანიათ წიგნთ-საკითხავის სასარგებლოდ, მაშინ-როდესაც თამაშობისა და დროს გატარებისათვის არც დროსა ზოგავენ და არც ნივთიერს საშუალებასა. ამიტომაც ჩვენი პროვინციალური ქალაქები მისცემიან სრულს მოსვენებას, განცხრომასა და უსაქმურობასა.

შესაძლოა მკითხველმა სთქვას,— ეს ხომ ყოველივე მართალია, მაგრამ შორს რად მიდიხართ, პროვინციალურს ქალაქებს რად გამოელამკრეთ, როდესაც დედა-ქალაქი, ტფილისი, თვალ-წინა გაქვთო. დაუკვირდით მაგ თქვენს ტფილისსა და მხოლოდ შემდეგ მიმოიარეთ ეს ჩვენი დალოცვილი პროვინცია და სხვა-და-სხვა მივიწყებული ადგილებიო.

ასეთს შენიშვნაზე იმის მეტს ვერაფერს ვიტყვით, რომ ვერც ტფილისს დავაფარებთ ხელს და დავიცავთ მკითხველის საყვედურისაგან. მართლადაც, ამ ჩვენს დალოცვილს ტფილისსაც, რომელსაც სხვა ქალაქებთან შედარებით ბევრად მომეტებული მოეთხოვება, არ შეუძლიან შეისყიდოს სხვა ქალაქების უფერულობა და უზრუნველობა. აბა, ტფილისში ხომ მეტი დაწესებულებაა, მეტი ახალგაზდობაა, მწერლობაცა ბჟუტავს, ერთის სიტყვით, მეტი სავარჯიშოა ადამიანის გრძნობა-გონებისათვის, მეტი საზრუნველი და სადარდელია, მაგრამ ტფილისშიც ისევე მოსვენებითა და უდარდელად ვსცხოვრობთ. ყოველს საქმეს, რომელსაც ცდა და ბეჯითობა ესაჭიროება, ისე ვეპყრობით, თითქო გვეზარებოდეს გონებითი მუშაობა; ყველა საქმეს ისე ვუყურებთ, თითქო ჩვენ სრულიად უცხონი ვიყვნეთ იმ საქმისათვის. მაგალითად, ამას წინად დანიშნული იყო დრამატიულის საზოგადოების კრება, მაგრამ დანიშნულს დროს კრება ვერ შესდგა, რადგანაც საჭირო რიცხვი წევრთა არ მოგროვდა. მეორე ვადაზე წევრები-კი მოგროვდნენ, მაგრამ არა-წევრნი-კი მხოლოდ ათიოდე კაცი მოვიდა. აქაც, რასაკვირველია, დაგვეტყო იგივე გულ-გრილობა, უზრუნველობა, რომელსაც ვიჩენთ არა მარტო სათეატრო საქმისადმი, არამედ თუნდაც „წერა-კითხვის საზოგადოებისადმისაც". განა დრამატიულს საზოგადოებას იმისთვის ვეპყრობით ეგოდენ გულ-გრილად, რომ სათეატრო საქმე ან არ გვიყვარს, ან და არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევთ? არა, თეატრიც საერთოდ გვიყვარს, არც იმდენად უგუნურნი ვართ, რომ იმისი მნიშვნელობა არ გვესმოდეს, წარმოდგენებზედაც დიდის ხალისით ვესწრობით, როცა საშუალება გვაქვს, დიდად ვსიამოვნებთ ხოლმე კარგის წარმოდგენითა და დიდის აღტაცებით, მხურვალედ ვსჯით ამა-და-იმ ნიჭიერს მოთამაშესა და ან პიესაზე, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგება, როცა შემწეობა რამ უნდა აღმოვუჩინოთ, ან ფულით და ან რჩევით, მაშინ უკან-უკან ვიხევით ხოლმე; ერთი იმისთვის, რომ ფულის გამოღება საზოგადოდ საქმისათვის არც ისე ადვილი და სასიამოვნო საქმეა ჩვენთვის და ერთიც იმისთვის, რომ რჩევასა, უტყუარს, გულწრფელს სიტყვიერად დახმარებას თურმე ჭკუის გარჯა უნდა. და ეს ხომ ჩვენი საქმე არ არის. რისთვის უნდა შევიწუხოთ სული და გული, რისთვის გავწიოთ მეტი

ფელეტონი

მთიული სოსე

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდამ)

(დასასრული*)

ამ დროს ჰოტმა გადიძახა ხევ-ხევში; საზარელი ხმა გამოსცა არე-მარემ. სოსემ მოიხედა ციხისაკენ, სადაც ჰოტი იჯდა, და წაილაპარაკა:

— დასწყევლე, დასწყევლე, ამოიჰამე ქვეყანა... მაგრამ ათასმა ჰოტმაც რო ერთად გადიძახონ, მაინც მე აღარა მიხსნის-რა; მე, სოსემ, უნდა კაცი მოვკლა. რადა ახლა, რითვინა? მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში ქათამს რო დაჰკლამდნენ, სახლში შევარდებოდი ხოლმე, ვერ ვუყურებდი, ისე მეცოდებოდა, და ეხლა-კი... ეხლა კაცის სისხლი უნდა დავაქციო; ჩემი გული არ დამშვიდდება, მინამ ამ ჩემ ხანჯლის შვილს ქიტესას გასაგისის სისხლში არ გავსვრი. დაე, მეც დავიღუპო და დავიკარგო ჩემი სახლიდამ, როგორც ჩემი ყორანა დაიღუპა და დაიკარგა.

ირაჟრაჟა... ცისკარმა ოდნავ გაანათა თუ არა აღმოსავლეთი, სოსე უცბად წამოხტა. ჟამი განზრახვის შესრულებისა მოახლოვდა; სოსეს გული აემღვრა, გონება დაუბნელდა თვისის განზრახვის გახსენებაზე; წამოიწია ასადგომად, დაბარბაცდა და კუნელს მიეყრდნო. ვინ იცის იმ ცეცხლში, რომელიც ამ ჟამად სოსეს გულში ენთო, რა ალი ტრიალებდა; რას აგონებდა დახშულს გონებას, დადუნებულს გრძნობას! ვისზე ამოიყაროს ჯავრი; ვისზე გახეთქოს ბრაზი, რომ ეს მწვავე სახმილის ცეცხლი ჩაიქროს გულ-ღვიძლში! სოსემ თავს ძალა დაატანა, ნელ-ნელა მოცნობილდა და სოფლით გაღმა გაბიჯებულმა წალმა წამოსდგა ფეხი.

— უნდა მოვკლა მთხრობელი, მისი გასაგისი, რომ ცეცხლი დამეშრიტოს, გადასწყვიტა სულ-ამოხუთულმა კაცმა და შეუდგა საქმესა. აგერა მიდის ლასლასით, მაგრამ მტკიცის განზრახვით, მოჰკლას ვინმე, სისხლი დააქციოს და მით გულზედ მოკიდებული ცეცხლი გაინელოს.

— რაღა შემრჩა? სული?! ჩაილაპარაკა სოსემ, როცა ხევში დაეშვა-დაე ესეც წამართვან; აღარ ვსაჭიროებ ამასაცა.

მზე ამოციმციმდა და შუქი მთის წვერებს შაეფინა. აგერ ხევს გაღმა, მთის წვერზედ, გამოჩნდა ჰდეული ოთახი, რომელსაც ზედ გადმოჰფარებია ხილის ხეები. ჰდეულის წინა სდგას ბორბალა მსხალი, რომელსაც თითო-ოროლა ნაყოფი-ღა შერჩენია; სოფლის პაწია ბიჭები შემოჰხვევიან გარსა, ხელში ხალები უჭირავთ, რომ წვეროკინებში შერჩენილი მსხლები ჩამოყარონ. პროწიალობენ, ხტიან, უკირკიტებენ, ცილაობენ: არა ჩემი ხალა სჯობიან; არა, ჩემიო.

მუშის სადილობაა; მგზავრი სოსე ჰდეულთან მიდის. სახლში არავინ არის: მუშა დღეა; ყველა ადრიანად გასულა მინდვრად. სოსემ მიატანა ბორბალას და მის ჩრდილში აღელვებული გონება მოასვენა.

ბავშვები კვალად ცელქობენ. ჩამოყარდნილს მსხალს ეტაკებიან, სრესენ, ჰგლეჯენ.

— იქნება აქ ჩემის მთხრობლის შვილი ერიოს,—გაიფიქრა სოსემ, წამოდგა და იკითხა.

მთხრობლის ბავშვი სოსეს წინ მიეგება. ბავშვი იყო ქიტესა მოურავისა, რომელიც ტყეში სოსეს შემოხვდა. სოსემ წაიძრო ხანჯლის შვილი, შეუბრალებლად ჩასცა ყელში და ბავშვის უმანკო სისხლით მარჯვენა შეისვარა.

III

მთიულს სოსე კაიშაურს, ჩვენს უცნაურს მგზავრსა, კარ-წინ, ასე ოც-დაათს ნაბიჯზე, მსხლის ხე ედგა; გარშემო რგვალი ქვები და ხის კუნძები ეყარა; სიცხეში ხალხი, თუ შუა-დღის საქონელი, იქ იჩრდილავდა თავსა. სოსე კაიშაური თავისთვის კარგად იყო. მისი დედა მართა დიდხანს იყო გარედ გასული მოჯამაგირედ; შვილიც თანა ჰყავდა. დედამა და შვილმა საქმე მოიეარგიანეს: გაიჩინეს საქონელი, სახლ-კარი გაიკეთეს და დაბინავდნენ. მაგრამ სოსეს მოჯამაგირობის დროს ერთი ცუდი ზნე დასჩემდა: სადაც ცუდად რამე იდო, უთუოდ ახწაპნიდა ხოლმე ბატონის სახლში. სოსე, ღვთის წინაშე, ბუნებით არ იყო ავ-ზნე; მისი დედა მართა ერთობ უმანკო ადამიანი რამ იყო; თვითონ სოსეც მოჯამაგირობის შემდეგ სოფელში თითით საჩვენებელი ბიჭი იყო, მაგრამ სოსე კაიშაური ბატონის სახლში წახედულობამ წასწყმიდა. ბატონის სახლში სოსეს გარდა ხუთი-ექვსი სხვა ბიჭი ტრიალებდა. ამ ხუთს-ექვსს კაცში ერთს არ ედო ნიშან-წყალი, სულ დასალახანავებული და გალაზღანდარავებული იყვნენ. ამათგან მეზობლის ვენახები აკლებული იყო; ბატონის სახლში ხომ ზოგი პურს იპარავდა, ზოგი ღვინოსა, საკლავსა, ჩასხდებოდნენ ღამე ბოსელში და ერთი ხართალალო ჰქონდათ ხოლმე. სოსეც აიყოლიეს; ავ ხელობას შაეჩვია და ერთხელ ბატონის სტუმარს შევერცხლილი გულ-ავშარა ცხენისა მოჰპარა. მთხრობელი გამოჩნდა ბატონის მოურავი ქიტესა და სოსეს ხელი დაადეს, სოსე არ გატყდა და რაც რამ ებადა, სულ წაართვეს. დრო-ჟამი გამოხდა; სოსე უფრო კარგად მოეწყო; შეინანა თავისი საქციელი; კეთილად შრომობდა; სოფელში კარგის კაცის სახელი დაიმსახურა, მაგრამ ძველმა ცოდვამ კიდევ უწია და მეორედ აიკლეს და საქონელი გაურეკეს.

ერთს დილას სოსე შინ არ იყო; იმის მსხლის ქვეშ რამდენსამე მეზობელს თავი შეეყარნა; იქვე იჯდა რცხილის კუნძზე ხანში-შესული დედაკაცი, რომელიც გაჩუმებულიყო და თვალთაგან მდუღარე ცრემლს აბნევდა. მეზობლებს გულ-ხელი დაეკრიბათ და მწუხარებით შესცქეროდნენ მომტირალსა. ერთს ხნიერს, სპეტაკის თმით შემკობილს, მადლიანის სახის მოხუცს ჩიბუხი ეჭირა ხელში და მიწას დაჰბღვეროდა; წურბელასავით დაჰკიდებიყო ჩიბუხსა, ჰსწრუპნიდა, ზედ აკვდებოდა, თითქოს დარდი და ვარამი თუთუნის ბოლისათვის მაღლა უნდა გაეყოლებინა და ჰაერისათვის შეერთო.

ამათს მწუხარებას ყურს არ უგდებდა ტურფა მოლაღური და ნიგვზის ხეზე, რომელიც ცოტა მოშორებით, ჰალის პირას, იდგა, ჩამოეკიდნა უცხო ბუდე, გაჩქარებული უსტვენდა თავის „ბიჭო გოგიასა" და ართობდა ბუდეში მსხდომარე ქულა ბარტყებსა.

— წუთი-სოფელი ასრე ჭრელია,— ჰფიქრობდა მოხუცი მეზობელი სოსე კაიშაურისა მოლაღურის სტვენის გამო:—ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. ერთი-ერთმანერთისას არას დავეძებთ, ერთი-ერთმანერთის დარდი და მწუხარება გულს არ გვტკივებს: მოლაღური რა მხიარულებაშია და საწყალი მართა-კი ცრემლით იბანება. ფრინველი რა გავამტყუნო, რაც უნდა იყოს პირუტყვია; ჩვენ, ადამიანები, უარესნი ვართ. ამის შემდეგ მიუბრუნდა მომტირალე მართას, სოსეს დედასა, და გულ-მწუხარედ უთხრა.

— მაშ, დედა მართა, აღარა ეშველება-რა ამ საქმესა? ვფიქრობ და ვე-

---

*) იხ. „ივერია" № 215.

შრომა, როცა სრულიად უშრომელად შესაძლოა ადამიანმა ერთი თითიც არ გაანძრიოს და ეს წუთი-სოფელი სიამოვნებით მოსჭამოს.

ასე და ამ გვარად ყოველთვის, როდესაც საჭიროა მხნეობა და ბეჯითობა გამოვიჩინოთ და კეთილს საქმეს ვემსახუროთ, სწორედ მაშინ მხნე და მამაცნი არა ვართ.

აი, ეს არის იმის მიზეზი, რომ თვითოეულს საქმეს, რომელსაც ჩვენ ხელს მოვკიდებთ, ისე უხალისოდ, ისე უგულოდ ვეპყრობით, რომ თვით საქმე უფერული, დღენაკლული ჰხდება. საქმეს ვუჩივით და იმას-კი ვივიწყებთ, რომ ამ გარემოების მიზეზი მომეტებულ ნაწილად ისევ ჩვენვე ვართ...

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისის სამკურნალოში წიგნთ-საცავი არ არის ავადმყოფთათვის გამართული. ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 200-მდე ავადმყოფი წევს და სულ ძალიან რომ შემცირდეს, ძნელად თუ 150-მდე დაიწიოს ამ რიცხვმა. ამ ავადმყოფებში ბევრი ურევია სოფლის მასწავლებელი, მოხელე და სხვა ისეთნი, რომელთაც წერა-კითხვა უსწავლიათ. ამ ავადმყოფთ ზოგს ფეხი აქვს დაშავებული, ზოგს ხელი, ორი-სამი თთვე უნდა იწვნენ სამკურნალოში და ბუზები თვალონ, რადგან მთელს სამკურნალოში ერთი წიგნი, ერთი გაზეთი არ მოიპოვება, რომ წაიკითხონ და გული გადააყოლონ. სამკურნალოს მმართველობა იწერს ზოგიერთ ადგილობრივს გაზეთებს სულით ავადმყოფთათვის და სრულს გონებასა და ჭკუაზედ მყოფთათვის-კი ეს სიკეთე საჭიროდ არ უცვნია. მართლაც და წარმოიდგინეთ ცოტად თუ ბევრად ნაკითხის კაცისათვის სამკურნალოში ჩავარდნა. სამი-ოთხი თთვე უქმად უნდა გაატაროს, იწვეს საწოლზე გულ-აღმა და იფიქროს ქვეყნის არა-რაობაზე. იმდენს ხარჯთან ქალაქმა რამდენიმე ასი მანათი რომ გადასდვას ამ საქმისათვის, ჯერ-ჯერობით მცირე წიგნთ-საცავი დააარსოს, შემდეგ და შემდეგ უფრო გაადიდოს და ამ გვარად ავადმყოფთ, რომელთაც სამკურნალოში ხორციელად შვებას აძლევენ, ჰკურნავენ, სულიერადაც რაიმე საკვები და სამუშაო მისცეს, ძალიან მოიმადლიერებენ.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების" ბიბლიოთეკას მიხეილ ნიკოლოზის ძემ ქუთათელაძემ შემდეგი წიგნები შემოსწირა: 1) დიალექტიკა ანტონ კათოლიკოზისა და 2) ხელოვნება აზნაურებით გინა ქართულ ენის თვით-მასწავლებელი, დაბეჭდილი ბროსეს მიერ პარიჟში 1834 წელსა. საზოგადოება მადლობას უცხადებს შემომწირველსა.

*** გაზეთ „Тиф. Листокъ"-ში ვკითხულობთ, რომ ბ-ნმა ქალაქის თავმა დააყენა გამგეობაში განსაკუთრებული მოხელე, რომელმაც უნდა ჩასწეროს ხოლმე, თუ ვინმე რამ თხოვნა ანუ საჩივარი განაცხადა ქალაქის თავისა თუ გამგეობისადმი. ეს განკარგულება იმითია კარგი, რომ ამას იქით სიტყვიერად შეუძლიანთ მიჰმართონ, ვისაც უჭირს და არა აქვს შეძლება, რომ თხოვნების წერაში აძლიოს ფული სხვა-და-სხვა უვიც მწერლებსა.

*** ამას წინად სოფ. ხოხნაში ერთმა ქალმა ლაქვერდ-ოღლისამ იავადმყოფა ათს დღეს, და მერე თითქოს მოკვდა. საფლავი გათხარეს კიდეც და რომ უნდა დაემარხათ, ამ დროს გაახილა თვალები, გამოცოცხლდა, მაგრამ შემდეგ რამდენისამე დღისა გარდაიცვალა.

*** იქიდამვე: სოფ. ცხმორისში ერთმა ქვრივმა ქალმა დაბადა შვილი და, რადგანაც ეს სირცხვილი არ უნდოდა გამხელილიყო, ყმაწვილი დაარჩო და შკაფში ჩააგდო. ეს ამბავი გამჟღავნდა, პოლიციამ აღმოაჩინა ყოველივე საქმე და სასამართლოს გადასცა.

*** ბათუმის ოლქი. წელს ჩვენში გლახა ამინდები იყო. მთელი ზაფხული წვიმა არ გველია, გახმა ყველაფერი გვალვისაგან; სიმინდი კარგა აღარ გაიზარდა, ძირმა თითო ტარო ძლივს გაიკეთა და გამოსავალიც მცირე აქვს, ხილს გვალვისაგან მატლი გაუჩნდა კუნწებში და უმეტესი ნაწილი ძირს ჩამოსცვივდა. ყურძენი ძალიან ნაკლებად არის, მეტად წახდა. ესეთი იყო წლევანდელი მოსავალი და სარჩო, ასე რომ შარშანდელივით მთხოვარები უნდა გავხდეთ და ყველას თავი უნდა მოვაბეზროთ. შემოდგომაზედ, როცა საჭირო აღარ იყო, საშინელი ავდრები დაიჭირა და რაც-კი ერთი ბეწო ჰირნახული ჰქონდა ხალხსა, სულ წალეკა მან ღვრებიდგან. ისე ადიდდა წყლები, რომ თუ სადმე ხიდი იყო, გაოხრდა. ერთი ხიდი არის აჭარაში სოფ. ქედას; ამ ხიდზე დაიარება აჭარაში მყოფი რუსის ჯარი, ფოსტა, თვით ეს სოფელი და მრავალნი სხვანი, ვისაც სასამართლოში საქმე აქვს. ეს ხიდი ძრიელ გლახა ადგილზეა გაკეთებული, წელიწადში ორჯელ-სამჯერ მოიტაცებს ხოლმე წყალი, მუდამ ხალხის დახმარებით აკეთებენ და ბევრი მუშაც უნდება. ეხლაც წაიღო ეს ხიდი წყალმა და ხალხი ველარ აკეთებს. თუ მართებლობამ არ იდო თავს, არ ვიცით, როგორ გააკეთებენ ამ ხიდსა.

*** იქიდამვე: ზაფხულში ჯარისაგან ნაკეთები გზები ისე დაიქცა და გაფუჭდა წვიმისაგან, რომ სიარული მოსპობილია. 10 ოქტომბერს ამ გზამ ერთი კაცი, გზის ყარაული ახმედა, იმსხვერპლა. ახმედა თურმე მუშაობდა გზაზედ; ამ დროს ჩამოწვა დიდი ზვავი, ჩაიტანა წყალში და დაარჩო. გვამი მეორე დღეს იპოვეს.

ხევსურული ლექსები

(გაგონილი და დაწერილი სოფ. ხიზაბავრაში (ჯავახეთში) იაკობ ლაზარაშვილის მიერ)

თუში ატარდა მთაზედა,
ბასტრიონ გადაგანზედა;
რაც რომ მოკლა დუშმანი,
ზედ დაეწერა ხმალზედა.

თუშო, ნუ ჩასვამ ოშორას,
ოშორა ეკლიანია;
ჩასვამ და ველარ ამოსვამ,
შენი ამოსვლა ძნელია

წერილი ლეჩხუმიდამ

დაიწყობა თუ არა ჩვენში საზოგადო სასარგებლო საქმეზედ ლაპარაკი, მოვინდომებთ თუ არა საჭირო და სასარგებლო დაწესებულების გამართვას, მაშინვე გამართება დას-დასობა და დაუბოლოებელი დავიდარაბა. მაშინვე დაიგლიჯება რამდენსამე ნაწილად უიმისოდაც მცირე და ეკონომიურად არა სანატრელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი საზოგადოება, დაიწყებენ მთელის თვისის ძალ-ღონით ერთი-მეორის წინააღმდეგს და მტრულს მოქმედებას. კარგი იქმნებოდა კიდევ, რომ ამ დას-დასობასა და განხეთქილებას საზოგადოებისას საძირკვლად ედვას მოპირდაპირეთა აზრის და მიმართულების რიგიანად განსჯა, მისი აწონ-დაწონვა და გონივრულად განხილვა. რა ბრძანებაა! უმთავრესი მიზეზი ასეთის უსაგნო პარტიობისა და შეჯახებისა არის უფრო ყოველთვის კერძო ანგარიშები და ინტერესები: ჩემი აზრი ეს არის, მე ამ აზრის განხორციელება მომცემს სარგებლობას და კიდეც ასე უნდა იქმნესო. არც ერთი მათგანი არა ჰფიქრობს, მისი აზრი რამდენადმე შესაფერი და გამოსადეგია საზოგადო საქმისათვის, თუ არა. ოღონდ თავისი თავ-მოყვარეობა დააკმაყოფილოს, თავის სურვილს მიაღწიოს და საზოგადოება და მისი საქმე ფეხებზედ ჰკიდია. ამისი მაგალითები ასობით და ათასობით შემეძლო მომეყვანა, მაგრამ საჭიროდ არა ვხედავდი, რადგან ყველა ჩვენმა მკითხველმა უჩვენოდაც ბევრი იცის ამისთანა მაგალითები: ყოველივე ეს არ-ახალია, ძველია. ეს სენი, ეს განხეთქილება და განაწილება დღემდის ლეჩხუმის მკვიდრთა შორის ცხადად არა სჩანდა. აქამდე ჩვენში შეერთებულის ძალ-ღონით ეზიდებოდნენ საზოგადო საქმეთა უღელს და დღეს-კი, სამწუხაროდ, აქაც იჩინა თავი ამ დიდად მაზარალებელმა სენმა, რომლის საბაბი გახლდა სასამართლოების გადატანა და დაბინავება სოფ. ცაგერში. უმეტესობის სურვილი

რაფერი ვერ მომილონებია; დედაშვილობამა და და-ძმობამა, რომ შენზე მომეტებულად ჩვენა ვწუხვართ და გული გვიტირის. აბა რა სათქმელია; თქვენი დღენი დედამა თუ შვილმა სხვის კარეითად გაატარეთ; რამდენი ტანჯვა, რამდენი შიმშილ-წყურვილი გამოიარეთ; სახლი სახლს დაამგვანეთ, კარი კარსა, და დახე მტერმა რა ჰქნა!... ეეჰ, ადამიანი რო ადამიანს ინდობდეს, არც ასე იქნებოდა განიორწყლებული საქმე. როგორც სულს მოითქვამ, ძალას მოიცემ და წელში უნდა გაიმართო, შენივე მეზობელი ხელს შეგიშლის და ძირს დაგცემს, სთქვა მოხუცმა.

— ჩვენი ღონე, ჩემო ნინიკა, საქონელია, პირუტყვია; თუ პირუტყვი მხარში არ ამოიყენე, ერთ მანყულად არ ეღირები კაცი. ძმა ხომ ძმა არის და შვილი შვილია, მაგრამ კაი ხარ-კამბეჩიც ძმა და შვილია. ძმამ იქნება ისე არ გასიამოვნოს, როგორც კაი გაწყობილმა ხარ-კამბეჩმა. ეხლა ჩემი ლომა ხარები საყევარში რო დაიწმწნებიან ხოლმე—მე შენ გითხრა, შოლტს დაირტყამენ აი,—მამიჩემის სულის ცხონებამ, გულში ნათელი ჩამადგება ხოლმე.

— ოოი, შავი ჭირი ჩაუდგეთ სახლსა და კარში, ვინც ჩემი სოსე დაანელა და საქონლისაგან ცარიელი დასვა; ჩემის კაბითაც დამჯდარა, ჩემისა!—კალთას ხელი მოიკიდა და ჰაერში შეაფრიალა... ნინიკო! საქონელს ვილა სჩივის; შვილი გადამივარდა, შვილი, ნინიკო!.. ვინ იცის თავიც დაირჩო, წყალს მიეცა, სთქვა გამწარებულმა მართამა.

— რა დაგემართა, მათავ, რა! კაცია, სოსეი, ადამიანია, ეშმაკი ხომ არ არის, რომ თავი გაიმეტოს.

— რა ვქნა, ნინიკო, ამ უდაბურს ტყეებში რომ ან მავნე სული დააწვეს, ან დათვმა დამილეწოს, მაშინ რაღა შავ-ქვას მივეცე... წავალ, გადავარდები სადმე ამ სიბერის დროსა, თავს ქვას ვახლი და ერთს კამბეჩს როგორ ვერ ვუყიდი კიდევ ჩემ სოსესა... დედა მოუკვდეს, სულ დაიმდუღრა, ლოყები დაესერა ცრემლისაგან და ამას-ღა ამბობდა: „ჩემი ყორანა და ჩემი ყორანაო; ვაი დედას დაველიე, რომ აქ არ შევხვდი, როცა წაიყვანესო, თორემ ჩემი ცოცხალი თავით ვის დავანებებდიო"... დედა მოუკვდა იმასა, სულ ორი თთვეა, რაც მოჯამაგირობიდამ და სხვის სამსახურიდამ ამოვიდა; ამბობდა, ახლაკი ჩემს სახლში დავტრიალდი, წავა და ღმერთი მიშველისო და დახე რა მამივიდა სიკეთის სანაცვლოდა!!.. ორჯელ დამანელეს, ნინიკო, ორჯელ, და რათაო, რითვინაო, მკითხველი არავინ არის...

— ეგ არის და!.. ორჯელა, ჩაიმეორა გულ-ანატირად ნინიკამა და ჩიბუხის წრუპვნას უფრო უმატა.

— რას მემართლებოდა ქიტესა თედუაშვილი, ბატონის მოურავი; რა გველი შეუწვი, რო ასე დამანელა?! ჰო, შესცდა და მოიპარა ის ოხრად დასარჩენი ალვირი იყო თუ გულავშარა, მაინც ოხრად დარჩა და გადაუწყდა,—ერთხელ ხო გადაგვახდევინეს: წყვილი ძროხა გამომირეკეს, ულელი ხარი, და კარი გამომიხურეს. ახლა იყო და, საცოდავი ჩემი სოსეი გველის ფხაში გაძვრა, დაგირავდა თითონა, მეც ამ სიბერის დროს—აბა რაღა დროს ჩემი ჩერჩეტია—მეც გავედი კიდევ გარედა, გროში გროშს დავადევით დედამა და შვილმა, ხელმეორედ გავიჩინეთ საქონელი და ისევ აგვიკლეს... მარტო ათი თუმანი, ათად ათი, ყორანა ზაქში მივეცით. დედა-მკვდარს ამ ცისამარია დღე სუ იმის ალერსში ამოსდიოდა სული; რა ნაირ ასათუთებდა, ბარცხნიდა; სულ ერბოთი უზელდა და უბზინავებდა ფეხებსა და ქედსა; მეულლეც შეიპირა, ის იყო უნდა ეყიდნა და, არ დააცალოთ ჩემის ცოდვითა, ხელიდამ გამოაცალეს.

— მა ქიტესა იყო მთხრობელი? იკითხა ნინიკამა.

— ქიტესაი, ემ მზის თვალის მადლმა... ნინიკო, მიშველეთ რამე... ისე უყვარდა ჩემს სოსეს ყორანა ზაქი, რო თავს ზედ დააკლავს, თავს აუტეხს რასმესა, ეშმაკის კერძად გახდება და რაღა ვქნა.

— იქნება ბატონის სიძეთან წავიდა, რო როგორმე დაიხსნას თავისი ყორანაი.

— უიმე, გენაცვალეთ; იყო, იყო, გენაცვალეთ! ახლოც არ მიიკარა. ღრუბელსაც ველარ იხილავ, შე ასეთ-ისეთო, შენის ყორანასასაო! ასე ეპასუხნა.

— ეს არის და უბედურობა, რო მართალი კაცია და იმიტომ იტანჯება კიდეცა, სთქვა მწარედ ჩაფიქრებულმა ნინიკამა.

— ღმერთმანი და, ნინიკო, შენ გამოცდილი კაცი ხარ, ბევრი გინახავს. ერთი გვითხარი, მართალი კაცი რად უნდა იტანჯებოდეს, რად, უთხრა მეზობელმა.

— მტყუანი კაცი ეშმაკია, მართალი დოყლაპიაა და აი ამიტომ იტანჯება ხოლმე.

— აიპე და, ეგ როგორღაც ჭკუაში მოსატანი არ არის.

— ყური დამიგდე, პოლიკო, რა გითხრა. ჩემოდენა კაცსა, ბიძიავ, სიზმარიც დაეჯერება. შარშან-წინ რო მენახირე გვყავდა სოფელსა, კაკო ასკილაშვილი, რამდენსაც ხბოს დაკარგავდა, ან ღორი მიეფარებოდა, მაშინვე შემოვეჩივლებდა: მიშველეთ რამე, ამისი და ამისი საქონელი მიმეფარა და ველარ დავხილეო. ის კაკოლა მართალი კაცი იყო, ღვთის კაცი იყო, თორემ განა არ შეეძლო ეთქვა, რომ საქონელი სოფელში შემოვერეკე, თავში იეცით, თუ ვერ იპოვნითო, მაგრამ ნწარა! კაკოლას სეინიდისი სტკიოდა ხოლმე... გამიგონე, პოლიკო... აი ეხლა რო მენახირე გვყავს, აი ილუა ფახირაშვილი, ძაან მტყუანა და ეშმაკი კაცია; ღამე არ გავა, რო ღორი, ან ხბო არ შეაჭამოს მგელსა; თითონ კი ყურზე სძინავს, ვითომ აქა არაფერიაო. „რა ვიცი, მე საქონელი სოფელში შემოვერეკეო; ავი შემნახავი პატრონი ქურდზე უარესიაო; როცა მე მოვერეკავ, რატომ თქვენ არა ჰპატრონობთო, მე ხომ ყველას კარზე ვერ მივურეკავ თავ-თავიანთ საქონელსაო." ილუას ხმასაც ვერავინა სცემს; გისაბუთებს და აბა რას ეტყვი. საწყალი მართალი კაკო იტანჯებოდა და ხალხიც ცხვირში ძმარს აღენდა... აი, ასეთია, ჩემო ბიძია, სოფელი.

კიდევ ბევრს იფილოსოფოსებდა თავისებურად ჩვენი მოხუცი ნინიკა, რომ სოსეს მოულოდნელს მოსვლას არ შეეწყვეტინა მისი ფილოსოფოსობა. სესეს დანახვაზე ყველას, თითქო შეკრთნენო, რაღაც თავ-ზარი დაეცათ. ადვილი წარმოსადგენიც არის, ამიტომ-რომ სოსემ საჩქაროდ ამოირბინა ჭალა და სახლში გიჟივით შევარდა. სანამ დედა მსხლის ხიდამ სახლის ღერეფანთან მივიდა, სოსე უკანვე გამოვიდა; მხარზე თავისი ძველი მაზარა გადაეკიდნა, ხელში კომბალი დაეჭირა და წასასვლელად მიემზადებოდა.

— რა იყო, შვილო, რადა ხარ აგრე ალეწილი, შე დედა-მკვდარო... რა არის, შვილო?..

სოსე გარინდებული იდგა. დედამ უცებ შენიშნა ქალამანზედ სამი წვეთი სისხლი, თავში რაღაცამ გაუელვა და აჩქარებით უთხრა:

— ეს სისხლი რა არის—მაგ ქალამანზე?

— ოჰ, კიდეც ეგა მწვავს გულსა, კიდეც ეგ არ მასვენებს... ეს უმანკო სისხლის წვეთებია: მე მოვკალ ქიტესას შვილი.

მეზობლები გაშრნენ. დედა კანკალმა აიტანა, გააცივა, ისე საშინლად გააცივა, რომ ხელში ველარავინ იმაგრებდა. ამბობენ, ბოლოს ჭკუაზე შესცდა და სულ ამას გაიძახოდაო:

— რა ვქნა, რას ამბობთ? ჩემი სოსე მოჯამაგირედ არის, საცაა მოვა. შავ მიწაში ჩემს სოსეს რა გააძლებინებსო.

სოსემაც ვერ მოისვენა იქნობამდე, მანამ თავის ფეხით არ ჩავიდა და გამომძიებელს არ გამოუცხადა თავისი დანაშაულობა.

სასამართლომ სოსეს ციმბირი გადაუწყვიტა.

ს. მგალობლიშვილი

იყო, თუ-კი ეს დაწესებულებანი დაიძრადა ლაილაშიდამ, დაარსებულიყო მაზრის შუა-გულ ადგილას, ისეთს ადგილას, სადაც უფრო მოხერხებული იქნებოდა და სადაც მთელის მაზრის მცხოვრებლებს ერთ გვარად ადვილად შესძლებოდათ სიარული და მათი გამოყენება. საქმე, როგორც ვიცი, ასე არ წავიდა, ზოგიერთ მოხერხებულ კაცთა კერძო ინტერესებისაგან მიზიდულებამ თავისი გაიტანა და ლენხუმის სასამართლო ისეთს ადგილას დაფუძნდა, რომელიც უმრავლესობისათვის მეტად საძნელო შეიქნა. აი პირველი ნაყოფი ჩვენის საზოგადოების განაწილებისა და პარტიობისა. ეს სენი, რაკი ერთხელ ფესვი გაიდგა, დღითი-დღე იზრდებოდა, და ჩვენი პატარა კრება მაზრის მოწინავე საზოგადოებისა ვერც ერთ საზოგადო საქმეში ერთმანერთს ვეღარ მოურიგდა.

აი თუნდა აღვნიშნოთ შემდეგი მაგალითები: როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს აზნაურობას ჰქონდა ერთი პირველ-დასაწყისი ერთ-კლასიანი სკოლა, სადაც აქაური ახალგაზდობა, როგორც იყო, წერა-კითხვის და ცხოვრებაში ცოტაც არის გამოსადეგ ცოდნას მაინც იღებდა. დღეს ამ სკოლის საქმე უკანასკნელს მდგომარეობაშია და მოსალოდნელია, რომ გაუქმდეს კიდეც. ცაგერის დასი გაიძახის, სკოლაც ცაგერში უნდა იქნესო; თუ აქ არ იქმნა, ჩვენ ერთის კაპეიკითაც არ შევეწევით სკოლასა და არც ჩვენს შვილებს მივაბარებთ მაგ სკოლაშიო. ამ ნაირსავე პასუხს აძლევს მეორე, ლაილაშის დასი. არც ერთი დასი არ უთვიქრდება იმ აზრს, თუ სკოლა საშვილიშვილო საქმეა, რომ იმაზედ არის დამყარებული იმათის მომავალ შთამომავლობის ბედ-იღბალი, რომ თითოეული მათგანი ვალდებულია ამ საქმეს გონივრულად გაუძღვეს და შეერთებულის ძალ-ღონით მოჰკიდოს ხელი. არა, ამ გვარი მოსაზრება შორს არის და კერძო ანგარიში-კი მიდის იქამდის, რომ ლამის ეს სკოლაც გაჰქრეს.

სხვა საქმეებშიაც ამ ნაირს უნუგეშო სურათს დაინახავს ჩვენში მეთვალ-ყურე. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი აზნაურობა ჯერ კიდევ არ არის დამტკიცებული თავის წოდებაში და, მაშასადამე, არა აქვს უფლება იყოლიოს მარშლები, მაგრამ უმაღლესად მონიჭებული აქვთ უფლება ამოირჩიონ და იყოლიონ ვექილი ანუ წინამძღოლი, რომელსაც უფლება აქვს გაუძღვეს თავად-აზნაურობის საქმეს და აწარმოვოს ყველა ის საქმეები, რაც შეადგენს მარშლის მოვალეობას. მიენიჭა ეს უფლება თუ არა ჩვენს თავად-აზნაურობას, აღირჩიეს ამ თანამდებობაზედ თ. ნ. ჩ—ნი და მას შემდეგ ეს პატივცემული კაცი ატარებს თავად-აზნაურობის წინამძღოლის სახელს. ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ რაოდენად უნაკლულოდ ასრულებდა ზემოხსენებულს თავად-აზნაურობის წინამძღოლის ვალდებულებას; ჩვენ ის უნდა ვსთქვათ, რომ თ. ჩ—ნი ამ ჟამად იძულებულია ღრმა მოხუცებულებისა გამო დასტოვოს თავისი თანამდებობა. ეს გარემოება შეიქნა თუ არა აუცილებელი, იმავ წამსვე გაიყო ჩვენი პატარა საზოგადოება დასდასად და გაიმართა კინკლაობა და დავიდარაბა. თითოეულს დასს თავის კანდიდატი ჰყავს წამოყენებული. აქაც უნდა შევიმჩნიოთ ის, რომ არც ერთი დასი არ უკვირდება და არა სცდილობს გაიგოს, თუ წარმომდგარ კანდიდატებ შორის რომელს ეკუთვნის უპირატესობა, რომელი უფრო გამოსადეგია და რომელს უფრო სასარგებლოდ შეუძლიან ატაროს თავად-აზნაურობის წარმომადგენლის სახელი და დაიცვას მისი ღირსება და პატივი. არა, აქაც „მე“ მეფობს და ჰთელავს ფეხით „ჩვენ“-ს. ჩვენს საზოგადოებას ჰყავს ერთი კაცი, რომელიც სრულიად ღირსია ყოვლის მხრით ზემოხსენებულის თანამდებობისა. ამ კაცს გაუჭირვებლად შეუძლიან გაუძღვეს და აწარმოვოს ყველა ის საქმეები, რომელიც კისრად ადევს ღირსეულს წინამძღოლს თავად-აზნაურობისას, თუ-კი თავად-აზნაურნი „ჩემიან-შენიანობას“ თავს დაანებებენ.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ჩვენს პატარა მაზრას თავიდამ მოეშორებინოს სენი უსაგნო და უაზრო პარტიობისა და მეგობრულად ერთი-მეორის თანხმობით ძმურად ეწარმოებინოს ყოველ გვარი საერთო, საზოგადო საქმენი.

ქაიხოსრო გელოვანი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

კიდევ პურის იაფობაზე უნდა ჩამოვაგდოთ ლაპარაკი. ერთხელ კიდევ უნდა ვიკითხოთ, რად დაიაფდა ასე პური, რომელიც დღეს მუქთადა ჰყრია ამბრებსა და ბეღლებში და ვაჭარი და მსყიდველი ვერ უშოვია. ამის გამო მემამულენი, მხვნელ-მთესველნი და აუარებელი უმრავლესობა სოფლის მკვიდრთა გაჭირვებასა გრძნობს და დიდს სიღარიბეშია ჩავარდნილი. ეს გარემოება გაზ. „Рус. Вѣд.“-ის სიტყვით იმისი ბრალია,

> რომ დიდის ბაჟის გამო უცხოეთიდამ ნაკლებ შემოაქვთ სხვა-და-სხვა საქონელი. რაკი უცხოეთიდამ საქონელი ნაკლებ შემოდის, ჩვენის ქვეყნიდამაც მცირედ გააქვთ უმთავრესი ჩვენი სარჩო-საბადებელი, სახელდობრ, პური და სხვა სამეურნეო საქონელი.

გაზეთი ამ აზრს ასეთის მაგალითებით განმარტავს:

> უცხო ქვეყნები მხოლოდ მაშინ იყიდიან ჩვენს პურს, თუ ჩვენ სამაგიეროდ იმათ საქონელს დავიბარებთ. ხოლო თუ ჩვენ იმათგან არას ავიღებთ ჩვენგან მიტანილის პურის სამაგიეროდ, ისინი ძალაუნებურად ან სხვა ქვეყნებში იყიდიან პურს ან არა და—ეცდებიან, რომ თვისი ხვნა-თესვა გააძლიერონ. მაგალითად, ინგლისი რჩეობს პური იყიდოს ხოლმე ინდოეთში, ავსტრალიასა და კანადაში, რომელნიც სამაგიეროდ ინგლისიდამ იბარებენ სამრეწველო სავაჭროსა და საქონელსა, ვიდრე ჩვენში იყიდოს, ნაღდი ფული გვაძლიოს და თავის საქონლისთვის-კი მერე ბაზარი ეძებოს. გერმანიაც ასე იქცევა. რაკი ჰხედავს, რომ პურს ვერსად ვერ ვიშოვი სასყიდლად ჩემს საქონელში გაცვლითაო, აწესებს ბაჟს უცხოეთიდამ შეტანილს პურზე და ამ საშუალებით განგებ აძლიერებს თავის ქვეყანაში ხვნა-თესვასა და პურის მოყვანის საქმესა.

აი ასეთს ყოფასა და გარემოებას ის შედეგი მოსდევს, რომ ჩვენშიაც შემცირებულია ფასი პურისა, დიდი იეფობაა ისეთის საქონლისა, რომლის ფულად ქცევითა და განაღდებით სცხოვრობს უმრავლესობა სოფლის ხალხისა.

> რუსეთში პურის დაგუბებაო, —განაგრძობს გაზეთი,—არის უპირველესი მიზეზი პურის იაფობისაო. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ბოლოს დროს თან-და-თან, უფრო-და-უფრო იეფდება პური.

არას ვიტყოდით ამ საგანზე, რომ სასარგებლო იყოს ვისთვისმე ასეთი ყოფა, პურის იაფობის გამო წარმომდგარიო, მაგრამ საქმე ის არის, რომ ყოველივე ეს სარგებლობას აძლევს მხოლოდ თითო-ოროლა მრეწველსა, მექარხნესა და მეფაბრიკესაო.

წვრილი ამბები

— ამას წინად პარიჟში კრება იყო სოციალისტებისა. ამ კრებაზე ქალებიც იყვნენ. ერთმა ქალმა მეტის-მეტად წინააღმდეგი და უხერხული ლაპარაკი დაიწყო და ამის გამო უწესობა მოხდა. როცა პოლიცია მოვიდა, ლუიზა მიშელმა და ბევრმა სხვამ თავს უშველა. ამაზე გაზეთებმა ლაპარაკი დაიწყეს და, რასაკვირველია, ქებით არ მოიხსენიეს ლუიზა მიშელი. ლუიზა მიშელმა ეს ვერ მოითმინა და დაბეჭდა გაზეთებში წერილი. ამ წერილში ეს ქალი სხვათა შორის ამბობს შემდეგს: ‹ მე რომ მცოდნოდა, პოლიცია იქ იყო ჩასაფრებული, ფეხსაც არ გამოვდგამდი კრებიდამა, რადგან არას დროს არ მიღალატნია ჩემის მეგობრებისათვის ›.

— ბავარიაში ჰყიდიან გარდაცვალებულის მეფე ლუდოვიკო II მეიროვსს კოლექციებს იშვიათის საგნებისას. ჩინური და იაპონური ვაზები უყიდნია ერთს შტუტგარტელს მოყვარულს ასეთის ნივთებისას. მეფეებური ტანისამოსი, რომელიც ეცვა ხოლმე მეფეს, სცენისათვის უყიდნიათ თეატრის მმართველებს.

— უცნაური ეჭვით ავადმყოფი აღმოჩენილა ბერლინში. ეს საწყალი კაცი სადილს რომ მიირთმევს, არა სჯერა თურმე, რომ სანოვაგე მეტი არ არის, იღებს ძვლებსა და ხორცის ნაჭრებს და ინახავს სახლში. მთელი სახლი გავსია ამ უცნაურის ნივთებით, რომელთაც თავ-თავისი ნომერი აქვთ. ეჭვით ავადმყოფს ეშინიან თურმე, რომ საცვალს რეცხის დროს სხვას საცვლისაგან არა გადაედოს-რა და ამიტომ არ აძლევდა თავის საცვალს მოსარეცხესა. ახლა-კი სულ უსაცვლებოდ დაიარება: არც ახალს ტანისამოსს ჰყიდულობს და რჩეობს, თავის ძველ გახეხილ ტანისამოსით დაიარებოდეს.

— გერმანიის იმპერატორს შეუწირავს 1,000 მარკა ძეგლის ასაგებად გერმანელ პოეტ ადალბერტ შამისოსათვის, რომელიც 1838 წელს გარდაიცვალა.

— პეშტიდამ იწერებიან, რომ ვენგრიის მინისტრ-პრეზიდენტი კოლომან ტისსა შეუწუხებულიაო.

— მაროკკოს სულთანს მოუწერია საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ფლურანსისათვის, რომ იმ კაპიტანის ოჯახსაც, რომელიც მოკლულ იქმნა ამას წინად მაროკკოში, მივცემთ 100,000 ფრანკსაო.

* * *

საგრამმატიკო ესკიზი

ზოგიერთი მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო

(ვუძღვნი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოქრომჭედლიშვილს)

> feci quod potui,
> faciant meljora potentes

(შემდეგი *)

პატივცემულს დიმიტრი ყიფიანს თავის გრამატიკაში პრეფიქსთან „ვო“ მოჰყავს შემდეგი მაგალითები: „ვოხუჯობ, ვოქროვდები“, ეითომც და ეს მაგალითები ამტკიცებდნენ პრეფიქს. „ვო“-ს არსებობას ჩემის აზრით, აქ „ო“ ეკუთვნის სიტყვის ძირს და არა „ვ“-ს, რადგანაც სიტყვები იქნება „ოხუჯი“, „ოქრო“ და არა „ხუჯი“ და „ქრო“. ამასთან სხვა მაგალითებსაც ვერ მოგვიყვანდა ავტორი დასამტკიცებლად, რადგანაც ამ გვარი პრეფიქსი სრულიად არ არსებობს. ამითივე აიხსნება ისიც, რომ, თუმცა ავტორმა სქემაში თითქმის სისრულისათვის დაგვისვა პრეფიქსი „მო“ და იმავე ფუნქციისაგან წარმომდგარი „ვო“, მაგრამ ერთი ნასახადაც მაგალითი-კი არ მოაყოლა თან, რომ გაგვეგო სიმართლე. პრეფიქსები „ვო“ სრულიად არ არსებობს და მოყვანილ მაგალითებში ყოფილა პირვანდელი მკვიდრი პრეფიქსი „ვჰ“, ხოლო შემდეგში ენას „ჰ“ საჭიროდ აღარ უცვნია, რადგანაც „ჰ“-ს ორსავე შემთხვევაში მოსდევს ხმოვანი ბგერა:

ვჰ-ოხუჯობ—ვოხუჯობ.
ვჰ-ოქროვდები—ვოქროვდები.

პრეფიქსი „ვუ“ არ ჩაითვლება მკვიდრ პრეფიქსად, რადგანაც სხვა საკუთარ აზრს არ აძლევს ზმნას, ხოლო იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა მნიშვნელობითაც იხმარება მკვიდრი პრეფიქსი „ვი“. დასამტკიცებლად მოვიყვან შემდეგ დახრას:

მე: ვჰ-წერ შენ: ჰ-წერ ის: ჰ-წერ-ს
— ვი-წერ — ი-წერ — ი-წერ-ს
— გჰ-წერ — მჰ-წერ — მჰ-წერ-ს
— გი-წერ — მი-წერ — მი-წერ-ს
— ვჰ-წერ — ჰ-წერ — გჰ-წერ-ს
— ვუ-წერ — უ-წერ — გი-წერ-ს
— ჰ-წერ-ს
— უ-წერს.

ამ ფორმებიდამ ცხადად გაიგებს მკითხველი, რა აზრითაც იხმარება—„ვუწერ“, „უწერ“, „უწერს“, და შეიძლება თუ არა ამის შემდეგ „ვუ“-ს ცალკე პრეფიქსად ჩარიცხვა.

მარცვალი ‹ვე› მოქმედებითის ხმისაგან ზმნას გარდაჰქმნის ხოლმე მდგომარეობით ხმად:

ვა-კეთე—ვე-კეთე
მა-კეთა—მე-კეთა.

რადგანაც ამ პრეფიქსების „ე“ არავითარ ცვლილებას არ ახდენს ზმნის დედა-აზრში, ამისათვის მკვიდრ პრეფიქსებად ვერ ჩაითვლებიან ესენიც. მით უფრო, რომ გარდაქმნა მდგომარებით ხმად მოქმედებითის ხმისა უნდა შეეხებოდეს თვით უცვლილებას და არა ზმნის დედა-აზრს. ამისათვის ეს პრეფიქსები იქმნებიან მხოლოდ ნიშნებად მდგომარეობით ხმისა, ისიც მიმართულებითს ფორმებში და მიუმართავ ფორმებში-კი ნიშანი იქმნება „ვი“ [3]. როგორც ზევით „უ“ მიეთვისებოდა „ი“-სა, სწორედ აგრეთვე აქაც „ე“ მიეთვისება „ა“-ს — ი : უ = ა : ე.

რაც შეეხება შემდეგს პრეფიქსებს: „მია, მიე, მიუ, მომ, მოგვ“, საკმარისია ესთქვათ წინააღმდეგ პატივცემულ დ. ი. ყიფიანის გრამატიკისა, რომ ესენი არ არიან ერთიანი პრეფიქსები, არამედ რთულნი. ამისათვის, მათი სქემებში მოყვანა უსაჭიროდ მიმაჩნია: მია=მი+ა, მიე=მი+ე, მიუ=მი+უ, მომ=მო+მჰ, მოგვ = მო+გვჰ = მო(მჰ+ვჰ).

ამის დასამტკიცებლად მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი და დავინახავთ, რომ როგორც თანდებულით, აგრეთვე უთანდებულოდაც ითქმის ყველა მაგალითები რთულის პრეფიქსებით: მიაგვანებს-აგვანებს, მიემგზავსება-ემგზავსება, მიუწერს-უწერს, მომწერს-მწერს, მოგვწერს=მომწერს+მოგწერს (გმ-გვ).

პრეფიქსები—მიო, გეიო, გეიუ, გეია, გეიე, რომელნიც შეტანილნი არიან ბ-ნ ყიფიანის გრამატიკაში, ჩემის აზრით, აგრეთვე არ არსებობენ. ამ პრეფიქსებშიაც მობმული ხმოვნები ეკუთვნიან სიტყვის ძირს და ვერასოდეს ვერ ჩაითვლებიან ერთიან პრეფიქსებად წინა მარცვლებთან. ავტორის სიტყვით, ეითომც და მაგალითები—მიოკებს, გეიოკებს, მიუხევებს, გეიუხევებს აგრეთვე ამტკიცებდნენ ამ პრეფიქსების არსებობას. რაიც შეეხება პრეფიქსებს—გეია, გეიე,—აქაც ავტორი ჩუმდება და მაგალითებს არ გვაძლევს. საბა სულხან ორბელიანს თავის „სიტყვათა კონაში“ აქვს მოყვანილი ერთგან ზმნა „და-ოკება“ (ჯარის განძლომა სურსათით), მეორე ადგილას აქვს „ი-ოკებს (ნახე დაოკება)“ [4]. მე ჩემის მხრივ დავუმატებ, რომ ყველა შემთხვევაში აქაც ‹ო› ეკუთვნის სიტყვის ძირს და პრეფიქსთან მას არავითარმე კავშირი არ უნდა ჰქონდეს. როგორც სიტყვებში—მიუხევებს, გეიუხევებს—„უ“ პრეფიქსთან რა მისაკერებელია, როდესაც სიტყვა იქმნება „უხევება“, „უხვი“ და არა ‹ხევება—ხვი›.

პრეფიქსები—მჰ, მა, მი სცვლიან პრეფიქსებს—ვჰ, ვა, ვი, როცა მიმართულება უნდა გამოიხატებოდეს.

ხანდისხან უხმო ბგერის შემდეგ მოისმის სამჯერ „ა“ განცალკევებით გამოთქმული. უინტერესო არ იქმნება ავხსნათ, რა გვარად მომხდარა ერთის ბგერის გასამება:

გააადამიანებს=გა+(ა+ადამიანებს) [5]
ვა+ადამიანებ
გააადვილებს=გა (ა ადვილებს)
ვა+ადვილებ
გააააშკარავებს=გა+(ა+აშკარავებს)
ვა+აშკარავებ

ერთი „ა“ ეკუთვნის თანდებულს, მეორე სიტყვის ძირს (ადამიანი, ადვილი, აშკარა) და შუა „ა“ იქმნება მკვიდრი პრეფიქსი ბრძანებითის დახრისა:

(გა) ადამიანება—ა-ადამიანე, ი-ადამიანე, ვ-ა-ადამიანებ, ვ-ი-ადამიანებ.
(გა) ადვილება—ა-ადვილე, ი-ადვილე, ვ-ა-ადვილებ, ვ-ი-ადვილებ.
(გა) აშკარავება—ა-აშკარავე, ი-აშკარავე, ვ-ა-აშკარავებ, ვ-ი-აშკარავებ.

დასასრულ მოვიყვან ჩემ მიერ შედგენილს პრეფიქსების საერთო სქემას:

I მიუმართავი	მე: ვჰ— ვა— ვი— ვე—ები(ვი)	შენ: ჰ— ა— ი— ე—ები(ვი)	ის: ჰ—ს ა—ს ი—ს ე—ება(ვ-ის)
II a მიმართულებითი	სამში ტრიალი მჰ— მა— მი— მე—ები(ვი) მჰ—ს მა—ს მი—ს მე—ება(ვ-ის)	სამში ტრიალი გჰ— გა— გი— გე—ები(ვი) გჰ—ს გა—ს გი—ს გე—ება(ვ-ის)	ოთხში ტრიალი გჰ— გა— გუ— გე—ები(ვი) ჰ— ა— უ— ე—ები(ვი) ჰ—ს ა—ს უ—ს ე—ება(ვ-ის)
	შენ, ის — მე	მე, ის — შენ	მე, შენ, ის — იმას

პირველ განყოფილებას ერთი მრავლობითი რიცხვი ექმნება, ამასთან პირველისა და მეორე პირის ფორმებს

---

*) იხ. „ივერია“ № 214,215.

[3] თუმცა ბ-ნ დიმიტრი ყიფიანის უღვლილების სქემაში მიუმართავი ფორმა მდგომარეობითი ხმის აწმყოსი არის „ვეწერები“,—ჩემის აზრით, ეს ფორმა უნდა იყვეს მიმართულებითი, ე. ი. მე იმას ვეწერები; მიუმართავად-კი უნდა იყვეს—„ვიწერები, ე. ი. ჩემ თავად. ავტ.

[4] ჩუბინაშვილის ლექსიკონში სრულიად არ არის ეს ზმნა. ავტ.

[5] ეს მაგალითები ამოვკრიფე პატივცემულ დიმიტრი ყიფიანის პატარა ლექსიკონიდან, რომელიც შერთული აქვს გრამატიკას (გვ. 146). ავტ.

ყველგან ბოლოს „თ“ ემატება, მესამე პირის ფორმებს-კი, სადაც “ს„ ზის, ე. ი. დაბოლოება მხოლოობითი რიცხვისა, იქ ამის ნაცვლად ემატება მრავლობითი რიცხვის დაბოლოება „ენ“, შემდეგ სადაც „ა“ ანუ მარცვალი „ის“ არის, იქ ამათ ნაცვლად ემატება სამიანი მარცვალი „იან“ (სწერს—სწერენ, კითხულობს—კითხულობენ, იბრძვის—იბრძვიან, არის—არიან, ენთება—ენთებიან, ეუბნება—ეუბნებიან). მეორე განყოფილება სხვა-და-სხვა რიგად იცვლება მრავლობით რიცხვში, იმის მიხედვით, თუ რომელი პირი იქნება გამოთქმული მხოლოობით ანუ მრავლობით რიცხვში—მომქმედი, თუ ის პირი, რომელთანაც მიიმართება მოქმედება. აი სხვა-და-სხვა კომბინაცია:

II b		
გვჰ— გვა— გვი— გვე—ები(გი) გვჰ—ს გვა—ს გვი—ს გვე—ება(გ-ის)	გჰ—თ გა—თ გი—თ გე—ები-თ(გი-თ გჰ—ს-თ გა—ს-თ გი—ს-თ გე-ება-თ(გ-ის თ	გჰ— გა— გუ— გე—ები(გი) ჰ— ა— უ— ე—ები(გი) ჰ—ს ა—ს უ—ს ე—ება(გ-ის)
შენ, ის — ჩვენ	მე, ის—თქვენ	მე, შენ, ის—იმათ

II c		
მჰ—თ მა—თ მი—თ მე—ები-თ(გი-თ) მჰ—ენ მა—ენ მი—ენ მე—ებ-იან(გ-იან	გჰ—თ გა—თ გი—თ გე—ები-თ(გი-თ გჰ—ენ გა—ენ გი—ენ გე—ებ-იან(გ-იან	გჰ—თ გა—თ გუ—თ გე—ები-თ(გი-თ ჰ—თ ა—თ უ—თ ე—ები-თ(გი-თ) ჰ—ენ ა—ენ უ—ენ ე—ებ-იან(გ-იან
თქვენ, ისინი—მე	ჩვენ, ისინი—შენ	ჩვენ, თქვენ, ისინი—იმას

II d		
გვჰ—თ გვა—თ გვი—თ გვე—ები-თ(გ-ით გვჰ—ენ გვა—ენ გვი—ენ გვე—ებ-იან(გ-იან	გჰ—თ გა—თ გი—თ გე—ები-თ(გი-თ გჰ—ენ გა—ენ გი—ენ გე—ებ-იან(გ-იან	გჰ—თ გა—თ გუ—თ გე—ები-თ(გი-თ) ჰ—თ ა—თ უ—თ ე—ები-თ(გი-თ) ჰ—ენ ა—ენ უ—ენ ე—ებ-იან(გ-იან)
თქვენ, ისინი —ჩვენ	ჩვენ, ისინი—თქვენ	ჩვენ, თქვენ ისინი—იმათ

ერთად ასეთი შემოკლებული სქემა გვექმნება:

1 მჰ— მა— მი— მე—ები(გი) მჰ—ს მა—ს მი—ს მე—ება(გ-ის)	2 გჰ— გა— გი— გე—ები(გი) გჰ—ს გა—ს გი—ს გე—ება(გ-ის)	3 გჰ— გა— გუ— გე—ები(გი) ჰ— ა— უ— ე—ები(გი) ჰ—ს ა—ს უ—ს ე—ება(გ-ის)
შენ, ის—მე	მე, ის—შენ	მე, შენ, ის — იმას, იმათ
4 მჰ—თ მა—თ მი—თ მე—ები-თ მჰ—ენ მა—ენ მი—ენ მე—ებ-იან	5 გჰ—თ გა—თ გი—თ გე—ები-თ (გი-თ) გჰ—ენ გა—ენ გი—ენ გე—ებ-იან(გ-იან)	6 გჰ—თ გა—თ გუ—თ გე—ები-თ (გი-თ) ჰ—თ ა—თ უ—თ ე—ები-თ (გი-თ) ჰ—ენ ა—ენ უ—ენ ე—ებ-იან (გ-იან)
თქვენ, ისინი, — მე	ჩვენ ისინი — შენ თქვენ	ჩვენ, თქვენ ისინი — იმას იმათ
7 გვჰ— გვა— გვი— გვე—ები(გი) გვჰ—ს გვა—ს გვი—ს გვე—ება(გ-ის	8 გჰ—თ გა—თ გი—თ გე—ები-თ(გი-თ) გჰ—ს-თ გა—ს-თ გი—ს-თ გე—ება-თ(გის-თ)	9 გვჰ—თ გვა—თ გვი—თ გვე—ები-თ გვჰ—ენ გვა—ენ გვი—ენ გვე—ებ-იან(გ-იან
შენ, ის—ჩვენ	მე, ის—თქვენ	თქვენ ისინი — ჩვენ

გავსინჯოთ ეს სქემა, რომელიც შესდგება 9 მუხლისაგან, და, თუ შეიძლება, კიდევ შევამოკლოთ. ზევითა ვთქვით, რომ პირველ განყოფილებას ერთი მრავლობითი რიცხვი ექნება, ამასთან პირველისა და მეორე პირის ფორმებს ყველგან ბოლოს აქვს „თ“, მესამე პირის ფორმებს-კი მრავლობით რიცხვის დაბოლოება—„ენ“. შემდეგ სადაც „ა“ ანუ მარცვალი „ის“ იქმნება, იქ ამათ ნაცვლად მრავლობითს რიცხვში არის სამიანი მარცვალი „იან“.

კოტე დოდაშვილი

(შემდეგი იქნება)

დეპეშა

15 ოქტომბერი

პეტერბურგი. უმაღლესმა სამხედრო სასამართლომ განიხილა და უყურადღებოდ დასტოვა საჩივარი პორუჩიკის რიბაკოვისა, რომელიც განსამართლებული იქმნა შტაბს-კაპიტანის გოლუშკოს მოკვლისათვის და რომელმაც ეს საჩივარი კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განაჩენზე შეიტანა.

სოფია. ბოლგარიის საერო კრება დაიწყო დღეს და პრინცმა კობურგისამ სიტყვა წარმოსთქვა.

ცნობილმა ბოლგარელმა მწერალმა, სლავეიკოვმა, მიჰმართა წერილით პრინცს კობურგისას და თავისი წინააღმდეგობა გამოუცხადა იმ ძალ-მომრეობის გამო, რომელიც არჩევანის დროს მოხდა.

ვენა. დღეს დაიწყო დელეგაციის სხდომა. შეიტანეს სხვათა შორის პროექტი ბიუჯეტისა: ამ პროექტით თხოულობენ 15-ს მილლიონს მაგაზინის სისტემის თოფის დასამზადებლად.

ბერლინი. „ჩრდილოეთ-გერმანული გაზეთი“ ამბობს, რომ მორიგება სუეზის არხის შესახებ ახალი საბუთია მშვიდობიანობისა.

პარიჟი. ვილსონმა გამოაცხადა, რომ თავს არ დავანებებ დეპუტატობას და დღეს დავესწრობი იმ კომისიის სხდომაზე, რომელმაც უნდა გამოიძიოს კაფარელის საქმე, რათა თავი გავიმართლო სხვა-და-სხვა ცილის-წამებისაგანაო.

რადგანაც მაროკკოს საქმე სხვა რიგად მოეწყო, ამიტომაც საფრანგეთის ჯავშნიანი გემი, რომელიც ტანჟერში გაგზავნეს, უკანვე უნდა დაიბარონ.

ბელგრადი. მმართებლობის კანდიდატების საქმის გამო, რომლებიც სკუპჩინაში უნდა ამოირჩიონ, ატყდა უთანხმოება რისტიჩსა და და იმის ამხანაგ რადიკალებს შორის, რომლებიც იმუქრებიან: სამინისტრო კაბინეთს თავს დავანებებთო.

16 ოქტომბერი

პეტერბურგი. რკინის გზებზე ნელის სიარულით გატანილს საქონელზე ბაჟის მომატებასთან ერთად, სახელმწიფო საბჭოში განირჩევა წინადადება მასზედ, რომ შემცირდეს ოც-და-ხუთ პროცენტიანი გადასახადი ჩქარის სიარულით გადატანილ საქონელზე.

გაზეთები იუწყებიან, რომ 1888 წლის 1 იანვრიდამ კიდევ 10 კაპეიკი მოემატება გირვანქაზე დამოქნის გადასახადი სამზღვარ გარეთიდამ შემოტანილ საყმაწვილო სათამაშოებსა.

იმის გამო, რომ გახშირდა პროცესები და ცრუ კოტრობა, უნდათ შესცვალონ წესდება ვაჭართა შეუძლებელობისა; სხვათა შორის, უნდათ აღკრძალონ მოწვევა საკონკურსო მმართველობაში ნაფიც და კერძო ვექილთა, აგრეთვე უნდათ, რომ პასუხის გებაში მიეცნენ ხოლმე თავს-მჯდომარე და კურატორები, უკეთუ ისინი შეისყიდვენ სხვების საჩივრებსა.

„კანონების კრებულში“ გამოცხადებულია, რომ დამზღვეველ საზოგადოებას, „Россія“-ს მიეცა უფლება მუშათა დაზღვევისა უბედურებათაგან ქარხანებსა, ფაბრიკებსა თუ მადნებზე ან სხვაგან, აგრეთვე უფლება დაზღვევისა კერძო კაცთა ყოველ გვარ უბედურ შემთხვევისაგან.

სოფია. არც ერთი წევრი სადიპლომატიო კორპუსისა არ დაესწრო, როდესაც დაიწყო საერო კრებანი. კრების თავს-მჯდომარედ აარჩიეს ტონჩევი, მის თანა-შემწეებად—სტოიანოვი და სლავკოვი.

პეტერბურგის ბირჟა, 13-ს ოქტომბ.

ფ ა ს ე ბ ი:

	მყიდვე-ლისა		გამყიდ-ველისა		გაყიდუ-ლისა	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	›	—	›	8	96
ტამოჟნის კუპონები. .	—	›	—	›	179	
მანათიანი ვერცხლის ფული, ...	—	›	—	›	1	30
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	›	—	›	$270^1/_2$	
— მეორისა	—	›	—	›	$245^1/_4$	
გირავნობ. ფურცელნი:						
ტფილისის ბანკისა. . .	—	›	—	›	—	›
ქუთაისის ბანკისა . . .	—	›	—	›	—	›
ტფილისის ხ ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . , .	—	›	—	›	—	›

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. .	5	კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . .	3	›
› 2 ›	$2^1/_2$	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5	›
› › 2—	$3^1/_2$	›
› › 3 ›	3	
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა . .	5	›
მე-2 ხარისხისა . .	4	›
მე-3 — . . .	›	›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
› 2 ›	6	›
სუკი	13	›
ცხვრის ხორცი . . .	7	›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	›	›
› 2 ›	›	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დღისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შევლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მ.	კ.
ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექვსისა	3	›
ვისრამიანი, სარგის თმოგველისა.	1	50
სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა	›	50
დავითიანი, დავით გურამიშვილისა	1	›
თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა	1	›
ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა	›	50
ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა.	›	30
თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა.	›	40
მეჯლანუაშვილი, არდაზიანისა .	‹	30
დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა	›	20
რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . .	›	10
სურამის ციხე, ჭონქაძისა . .	›	20
ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . .	›	30
თხზულებანი, რაფაელ ერისთვისა.	›	1
ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა.	›	20
ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთვისა.	›	5
იგავ-არაკი რაფაელ ერისთავისა.	›	25
განკიცხული, მოხსუბარიძისა .	›	50
ციკო, მისივე. . . . . , .	›	30
პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა	›	10
მითრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა	›	10
ბაგრატ მეოთხე, მისივე. . .	›	20
მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე.	›	10
ვახტანგ მეექვსე, მისივე. . .	›	1
დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . .	›	15
არითმეტიკა, დიდებულიძისა. .	›	50
არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . .	›	
წითელი ფარანი, თარგმანი. .	›	15
ზაფხული, ჯუღელის რედაქციით.	›	2
ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა	›	10
ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა	›	5
არსენას ლექსი	›	5
ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი.	›	15
ქართული ანდაზები. . . .	›	10
თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭიჭინაძისა	›	4
ირაკლი მეორის გლოვა . .	›	5
ალი, ნ. ლომოურისა	›	30
დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა.	›	20
ალმანახი, გ. თუმანიშვილისა .	›	40
სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა	›	5
მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა . .	1	›
თხზულებანი, მისივე ნაწ. I. .	›	60
რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა	›	30

ახლად შეძენილია და ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, სარაჯოვის სახლში (Дворцовая ул., домъ Сараджева) შემდეგი წიგნები:

	მ.	კ.
დედა-ენა, ი. გოგებაშვილისა .	„	30
ბუნების კარი, მისივე . . .	„	75
კოკორი, მისივე	„	10
კონა, მისივე	„	50
ხომლი, მისივე	„	30
კუნწულა, მისივე	„	40
დედანი, მისავე	„	30
შალვას თავ-გარდასავალი, გაბ. ცახელისა.	„	20
ლექსნი ალ. ჭავჭავაძისა. . .	„	30
თხზულებანი ანტონოვისა . .	1	„
მეფე ლირი, შექსპირისა, ნათარგ. ი. მაჩაბლისა და ი. ჭავჭავაძისა	„	60
სამ-გვარი სიყვარული, აკაკისა .	„	30
ვახუშტის ისტორია, დ. ბაქრაძის რედაქციით	3	„
ძმური სიტყვა	„	20
ნაკვესი	„	20

1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი

„მ ე უ რ ნ ე“

გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთმოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ვეთალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში; 8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.

მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.

ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა—თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „Мэурнэ“, на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.

რედაქტორი-გამომცემელი გასიდ ხუდხანიშვილი.

Доз. цен. Тиф. 16 октября, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე